

# საპუბლიკო, უპირველეს ყოვლისა

გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!

# საპარტიოპედიკ

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

## ჰე, მამულო!

ჰე, მამულო! გრძობა შენი მოვლისა მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია. სანამ გმირმა შენთვის სული დალია, სიქვა: სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მოზნად ექნება მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა, მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა, წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა: გაპარჯება, უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა საქართველოს მკერდი ორდენოსანი, მისი მიწა, მისი მზე სხვიოსანი, ის გვიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა!

გაიძვირე  
ქ. მამულო

ხუთშაბათი, 26 მაისი. 2022 წ. №66 (9404) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



### მიხეილ მუსხელიშვილი:

## საპარტიოპედიკ იცის, რომ ეკუთვნის ევროპას!

მართულ პანელზე – „სამეზობლოს-თან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება“ განაცხადა.

პრემიერის თქმით, საქართველოს ევროკავშირისგან ქმედება ახლა და დღეს სჭირდება.



„ახლა შევითხვა არის შემდეგი – ვზრდით თუ არა ამ მოლოდინს, რომ ვუთხრათ ხალხს, საქართველო მიიღებს სიმბოლურ, პოლიტიკურ განაცხადს და აღიარებას, რომ საქართველო არის ევროპული ოჯახის ნაწილი ან მათ უნდა ავუხსნათ, რომ ახლა არ არის შესაბამისი დრო, უნდა მოვიცადოთ. ჩვენ გვჭირდება, დავინახოთ ქმედება ახლა და დღეს, რადგან ეს უკვე განსხვავებული მსოფლიოა. რაც ახლა უკრაინაში ხდება, ეს არ არის მხოლოდ უკრაინის

უსაფრთხოების გამოწვევა, ეს არის მთელი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევა. მე მსურს, გაგახსენოთ ომი, რომელიც ჩვენ გვქონდა 2008 წელს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ გვინახავს ისეთი ერთობა, როგორც დღეს არის“, – განაცხადა პრემიერმა. ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ევროპული მისწრაფებებისთვის ქართველებმა ძალიან მაღალი საფასური გადაიხადეს.

კეგლი  
დავუღბათი  
ქართული 5  
პროვზული  
სკოლის  
ფუჰემდეგელს!



ამერიკის საელჩო  
ოპოზიციას სივი  
წყალი გადაასხა! 2

პასტანბ ძაბირაძე: მოსახლეობა  
ოპის გაყო დაჰაბულია და ამ  
პითარკაპუი ხელისუფლების  
იქედი უფრო აქვთ,  
ვიღრა  
ოპოზიციის...  
იხ. 3 გვ.



## თახსირი მოღალატენი!

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ, ვიცე-სპიკერის არჩილ თალაკვაძის თხოვნაზე, ოპოზიციის წარმომადგენლებს ხელის აწევით დაედგინებინათ, იმსახურებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსს, ხელი ოპოზიციის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა ასწია.

ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა თავისი ანტი-სახელმწიფოებრივი აზრები გადმოანთხია და გამოსვლის შემდეგ საპარლამენტო დებატები დატოვა.

აი, ძვეყნის მთავარი პრობლემა, ასეთი თახსირი, მოღალატე ოპოზიციის ახავს დღეს საქართველოს!!!

# ირაკლი ლარიაშვილი: გეგმირება ქვეყნის დანახვა ახლა და დღეს!

გვმძირობ, უნდა გავითვალისწინოთ ხალხის მოლოდინები, ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს იდეას, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, მსურს გავიმეორო, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი მთავრობის არჩევანი, საქართველო ევროკავშირთან დაახლოებას საუკუნეების განმავლობაში ესწრაფვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელზე — „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება“ განაცხადა.

პრემიერის თქმით, საქართველოს 2014 წლიდან ამბიციური რეფორმების დღის წესრიგი აქვს.



„ეს არ იწყება 2014 წელს, როდესაც ხელი მოვწერეთ ასოცირების შეთანხმებას. ჩვენ გვსურდა გამზარდარიყავით ცივილიზებული ევროპის და მსოფლიოს წევრი საუკუნეების განმავლობაში. ასე რომ ახლა გვსურს, რომ ვუხელმძღვანელოთ ჩვენი ხალხის მოლოდინებს, რადგან ჩვენი პერსპექტივიდან გამომდინარე, თუ როგორ ვხედავთ ამ პროცესს, ჩვენ გვჯერა, რომ ძალიან ლოიალურები ვართ ევროპული პრინციპების და ღირებულებების მიმართ, ვახორციელებთ დემოკრატიულ რეფორმებს. ჩვენ ვაკეთებთ ყველა საჭირო საჭმეს,

რაც არის ასოცირების შეთანხმებაში. ჩვენ შევასრულეთ ასოცირების შეთანხმების 45 პროცენტზე მეტი. გვაქვს ამბიციური რეფორმების დღის წესრიგი 2014 წლიდან და გვაქვს გაუმჯობესება ყველა მიმართულებაში, იქნება ეს კანონის უზენაესობა, მართლმსაჯულების რეფორმა, ღია მთავრობა. ჩვენ გვაქვს ხელშეხასხები პროგრესი და ხალხი ამას ხედავს...“

პრემიერის განცხადებით, საქართველოს ევროკავშირისგან სჭირდება სიცხადე, ადეკვატური და შესაბამისი რეაქცია.

# ახლა დროა, ევროკავშირმა მიიღოს ისტორიული გადაწყვეტილება!

საბარტომელოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თემატურ განხილვაში მონაწილეობას სოციალურ ქსელ „ტივიტერში“ ეხმაურება.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველომ ევროპულ ოჯახთან მიერთებისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადადგა და ახლა დროა, ევროკავშირმა მიიღოს ისტორიული გადაწყვეტილება ექვთველი ხალხისთვის.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ თემატურ განხილვაში „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრების“ მონაწილეობის სახით ძალიან კარგი შესაძლებლობა მომეცა. საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი სამომავლო ალიანსის შესახებ დებატების გასამართად. ევროპულ ოჯახთან მიერთებისთვის საქართველომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. ახლა დროა, ევროკავშირმა მიიღოს ისტორიული გადაწყვეტილება ქართველი ხალხისთვის, — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

# აპერიკის საელჩო ოპოზიციას სივიწყალი გადაასხა!

აშშ-ის საელჩოსგან ამ შინაარსის განცხადება როდესაც ვრცელდება, ეს არის დადასტურება, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოპოზიციის იტყუებოდა და ბრალს სდებდა დანაშაულში ჩვენი მთავარი პარტნიორი ქვეყნის საელჩოს, რაც არის სრულიად მიუღებელი მოვლენა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ განუცხადა.

„ძალიან სწორი განცხადებაა, ზუსტად ისაა, რასაც ვამტკიცებდით ჩვენ, 2012 წლამდეც, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იყო უმძიმესი რეჟიმი, მათ შორის სასამართლოში, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა სასამართლო სისტემას და მხარდაჭერა დღესაც გრძელდება უკვე იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო არის მთლიანად რეფორმირებული. რასაც ჩვენ ვამბობდით, ეს დადასტურდა ამერიკის საელჩოს განცხადებამ და ცივი წყალი გადაესხა ამით ოპოზიციის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ამერიკის საელჩო სწადიოდა დანაშაულს, იბარებდა მისამართულს, ახორციელებდა ზენოლას მოსამართლეზე, სასამართლოზე და ცდილობდა არაფორმალურ მმართველობას. ამ განცხადებით ცივი წყალი გადაესხა ოპოზიციის მტკიცებას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. კითხვაზე, რომ მმართველი გუნდი

აშშ-ის საელჩოსგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას ითხოვდა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საელჩოს განცხადება ზუსტად ამას ნიშნავს.

საბარტომელოს პარლამენტში გუშინ, რამდენიმე საათის განმავლობაში, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს არ ეკუთვნის კანდიდატის სტატუსი, ძალიან კარგად ხედავთ სად არიან ისინი და სად არის ხელისუფლება, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რაც ვთქვი — ეს ადამიანები, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ არ ახორციელებდნენ თურმე აგიტაციას კაბინეტებსა და დერეფნებში, რასაც ჩვენ ვამბობდით, რადგან ამაზე გვაქვს მესამე საათია, ისინი ამტკიცებენ იმას, ახლა სამი საათის განმავლობაში, პლენალურ სხდომათა დარბაზში ის დაამტკიცეს. საქართველოს პარლამენტში უკვე მესამე საათია, ისინი ამტკიცებენ იმას, რომ საქართველოს არ ეკუთვნის კანდიდატის სტატუსი, თქვენ ძალიან კარგად ხედავთ, სად არიან ისინი და სად არის ხელისუფლება, ძალიან მარტივად გაცეცა ამ ყველაფერს პასუხი, თავად გაციდეს საკუთარი თავი“, — განაცხადა კობახიძემ.



# თაა ნულუჯიანი: „შავ სიუჟეტი“ ყოფნა ჩემთვის კომპლიმენტია!

მე უკვე ვეღარც ვითვლი, მერამდენი შავი სიაა. შავი სიუჟეტი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ქვეყნდება უკვე რამდენი წელია და წელიწადში რამდენჯერმე, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა თაა ნულუჯიანმა განაცხადა.

„ან ეს იდეა უნდა მიატოვონ, იმიტომ, რომ ვერც ერთხელ მათი შავი სია წარმატებული ვერ იქნა ან სიის ფერი შეცვალონ ან რაღაც ახალი მოიგონონ — მეც ვყოფილვარ მათ შავ სიაში, ეს ჩემთვის მხოლოდ პატივი და კომპლიმენტია“, — განაცხადა ნულუჯიანმა.

# ელჩი მოხიბლულია საქართველოს ახალგაზრდობის ენერჯითი და ევროპული იდეების ერთგულებით!

ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ შარცელი, რომელიც გურიაში სტუმრობდა, ადგილობრივ ახალგაზრდებს შეხვდა.

— ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ჩემი ელჩად ყოფნის პერიოდში, უკვე მესამედ მომეცა გურიაში ჩამოსვლის შესაძლებლობა. როგორც ყოველთვის, ამ ვიზიტების მიზანი ჩვენი თანამშრომლობის შედეგების შესწავლა და იმის გარკვევაა, თუ რა შედეგილია გააკეთოთ საქართველოს მოქალაქეებისთვის მეტი შესაძლებლობების შესაქმნელად. ამჯერად, მე ყურადღებას ვამახვილებ ახალგაზრდებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე. ჩვენი სტრატეგიის ეს ორი მთავარი ელემენტი საქართველოს მოდერნიზებასა და ევროპასა და მსოფლიოში საკუთარი ღირსეული ადგილის დაკავებაში ეხმარება. დღეს მე სკოლაში დავბრუნდი. ეს არის ადგილი, საიდანაც პროფესიისა და სრულყოფილებისკენ მიმავალი გზა იწყება. ჩემთვის ძალიან სასამართლო იყო ოპორტუნის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა, მათთან ამბიციუბა და გამომწვევებზე საუბარი და ევროკავშირის შესახებ შინაარსიანი დისკუსიის გამართვა. როდესაც საქართველოს ახალგაზრდებთან ვსაუბრობ, ყოველთვის მოსიბოლოვი ვარ მათი ენერჯითი და ევროპული იდეის მიმართ ერთგულებით. ჩვენი დღევანდელი საუბრებიდან ნათელია, რომ ჩვენი საერთო ღირებულებები ღრმად და მყარად არის ფესვადგმული ქართველ საზოგადოებაში, რაც მისი მომავლის მიმართულებას მყარად განსაზღვრავს.



# ისევ „გამორჩეული“ ღაკვით უსუფაშვილი

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, პარლამენტში დებატების დროს დავით უსუფაშვილის გამოსვლა „გამორჩეული“ იყო.

„ერთ-ერთი ფრთხილი ფრაზა იყო, რომ დემოკრატიული სამყაროს ნდობის ხარისხი თურმე ჩვენ მიმართ დღეს ყველაზე დაბალია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. უსუფაშვილს თუ დავუჯერებთ, მგონი, საბჭოთა პერიოდშიც უფრო მაღალი ნდობა გვექნოდა. დავით უსუფაშვილი დღევანდელ დროს ადარებს იმ პერიოდს, როდესაც ად-

ამიანებს მართლა ანამებდნენ, კლავდნენ. ამ ყველაფერს ადარებს დღევანდელ მოცემულობას დავით უსუფაშვილი. უბრალოდ სირცხვილია, როცა უსუფაშვილი ამბობს, რომ დღევანდელი მოცემულობა არის უფრო მიუღებელი ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, ვიდრე მაგალითად, 2004-2012 წლები. ეს არის უბრალოდ სირცხვილი და უკადრებელი რამ, — დასძინა ირაკლი კობახიძემ. ამასთან, ირაკლი კობახიძემ განმარტა, რომ ომის თემასთან დაკავშირებით უსუფაშვილის მხრიდან კიდევ ერთი აღიარებითი ჩვენება მოისმინეს.







### დედაქალაქის მერიამ გუგინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა

თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს.

მისი თქმით, გათვალისწინებულია შენობის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ისე, რომ ძეგლის ავტენტურობა სრულად იქნება დაცული.

„მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი 1991 წელს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივითა დაარსდა. მუზეუმმა ბინა დაარსებისთანავე დაიწყო ზანდუკელის ქუჩის №1-ში, სადაც დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. აღნიშნული პროექტის მიხედვით, სამუშაოების განხორციელების შედეგად სახლ-მუზეუმის ავტენტურობა შენარჩუნდება, განახლება ინფრასტრუქტურა. სამუშაოები 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ასევე განაცხადა, რომ „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტების დაფინანსების პროგრამით უკვე 17 685-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.“

„ჩემი წინასაარჩევნო დაპირება იყო სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის 500-ლარიანი ვაუჩერების დარიცხვა. პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს. დღეის მდგომარეობით, უკვე 17 685-მა პენსიონერმა ისარგებლა. მათ 500-ლარიანი ვაუჩერის გამოყენება სხვადასხვა მედიკამენტზე, წლის ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ძალიან მოქნილი და მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომელსაც მომავალშიც გავაგრძელებთ და პენსიონერებს ყველანაირად გვერდში დაეხმება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, თბილისის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, თუ ვის შეუძლია აღნიშნული პროგრამით სარგებ-

# კახა კალაძე - კარგ საქმეთა მოძუქურთმე

ლობა და როგორ შეძლებენ სოციალურად დაუცველი პენსიონერები მედიკამენტების უფასოდ მიღებას.

„კიდევ ერთხელ შევხატეთ, პროგრამის განხორციელება არიან თბილისში რეაბილიტაციული საპენსიო ასაკის პირები, რომელთა რაოდენობის შესაბამისი სარეაბილიტაციო მუშა 200 000-ს არ აღემატება. იმისთვის, რომ პროგრამით ისარგებლოთ, უნდა მიმართოთ მძიმეს, რომელიც მოიცავს ცნობას თქვენი ჯანმრთელობის აღდგომის შესახებ და საჭირო მედიკამენტებს მიუთითებს. შედეგად განათავსდება პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში. მოკლე ტექსტური შეტყობინებით თქვენ მიიღებთ თბილისის მერიისგან სპეციალურ კოდს და ამის შემდეგ შეგიძლიათ, მედიკამენტების უფასოდ მიმართოთ სასურველ ავითაძს“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კახა კალაძემ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა სამგორის რაიონში, ვარკეთილის ხევში პარკი მოაწყო, რომელიც 27 მაისს ოფიციალურად გაიხსნება. პარკის გახსნასთან ერთად, პროექტ „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, კონცერტიც გაიმართება.



„იმ ივნიდან უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი – მედიკამენტების ქუჩის სრული რეაბილიტაცია იწყება. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ ქუჩაზე საგზაო მოძრაობა შეიზღუდება, რადგან აქ მიწისქვეშა კომუნიკაციები უნდა მოწესრიგდეს. დედაქალაქში ამ თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაა. ამიტომ, თბილისის მერია ცდილობს, გზის რეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებას. ამას გარკვეული დისკომფორტი ახლავს, რისთვისაც პირადად მე გინდით ბოდიშს, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელია ქალაქის განახლება და წინსვლა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომატებული მგზავრთაანაკადის გათვალისწინებით, მუნიციპალურ ტრანსპორტს ავტობუსის ხუთი და მიკროავტობუსის სამი ახალი მარშრუტი დაემატება. თბილისის მერია საზოგადოებრივ ტრანსპორტს მონიტორინგს მუდმივად უწევს. კახა კალაძემ ყურადღება პირველ ივნიის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქში დაგეგმილ ღონისძიებებზეც გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული პირველ ივნიის დაიწყება და 6 ივნიის ჩათვლით გაგრძელდება. საბავშვო ღონისძიებები დედაქალაქის სამ დიდ პარკში გაიმართება.

### ასეთი იქნება მერაბ კოსტავას განახლებული სახლ-მუზეუმი



### ღია წერილი თბილისის მერს, კახა კალაძეს



გატონო კახა!

მოგმართავთ, როგორც ქართული ენის გულშემკვთავრსა და პატივისცემულს; საბედნიეროდ, მე მქონდა შესაძლებლობა, თბილისელებთან თქვენს ერთ-ერთ შეხვედრაზე საჯაროდ მეთქვა მადლობა დედაქალაქის მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიების დასრულების გამო... დიდი იმედი გვაქვს, რომ გულისხმიერად მოყვადებით იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების ამ თხოვნასაც.

მატონო კახა, 2022 წლის 14 ივნიის სრულდება 110 წელი იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან. შეგახსენებთ ცნობილ ამბავს: აკაკი წერეთელმა თქვა იაკობ გოგებაშვილზე: „ჩემი და ილიას დედაა ნა მოსატანია იმ დიდ დედასთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩა-

# ქველი დაუდგაო ქართული ქრონოლოგის უკანაგულს



აწევთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეეცვალა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღონისძიებს, ქართველმა ხალხმა სიციხეებშივე ძველი დაუდგას...“

ანუ: უდიდესი ქართველის აზრით, იაკობ გოგებაშვილისთვის სიციხეებში უნდა დავუდგადო ძველი იმ დამსახურებისთვის, რაც მას მიუძღვის ქართული ენისა და ქართველი ხალხის წინაშე! ვაი რომ, იაკობის გარდაცვალებიდან საუკუნეზე მეტი გავიდა და უძველესი ვხედვით ამ თარიღსაც: წარმოიდგინეთ, საქართველოში იაკობის ძველი არ არსებობს (ორიოდ ბიუსტს თუ არ ჩავთვლით)... მართალია, დედაქალაქი ძველების არქონას არ უჩივის – ყველა კეთილისმსურველსა და მოყვარულს პატივი მივავებთ და ძველი დაუდგით; ეს კარგია, მაგრამ...

მაგრამ იაკობ გოგებაშვილს რატომ არ ვაფასებთ?

იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ორადღივ ფაქტს შეგახსენებთ:

– იაკობი იყო ქართული ეროვნული სკოლის ფუძემდებელი; მისი წყალობით მე-19 საუკუნეში მთელ საქართველოში, აჭარადან თუშეთამდე, მოეფინა ქართული სასწავლებლები, რომლებიც „ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფრქვევდა გრძობას ეროვნულსა. ამ კაცს სხვაც რომ არ გავკეთებინა რა, მართო ამ დედაქალაქის იქნებოდა საპატიო და თავნებასაცემი“ (შალვა დადიანი);

– 146 წელია, იაკობის წყალობით ქარ-

თველი მავში წერა-კითხვის სწავლას უნიკალური „აი ია“-თი იწყებს. „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ სავანეში“ (გრიგოლ აბაშიძე).

სწორედ ამიტომ: 2014 წელს „დედაენას“ მიეწოდებოდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი... (ეს სტატუსი სულ ხუთიოდე ძეგლს აქვს საქართველოში)...

ნუ დავივიწყებთ: იაკობის „დედაენამ“ მსოფლიო აღიარება მოუტანა საქართველოს და ქართულ ენას:

1960 წელს ვენესუელაში (კარაკასში) მსოფლიოს ენების საანბანე სახელმძღვანელოთა გამოფენა-კონკურსზე პირველი ადგილი და საპატიო სიგელი დაიმსახურა!

2016 წელს იუნესკომ საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა ქართული ანბანი (მსოფლიოში ერთადერთი!); იაკობის „დედაენა“ ამ საკაცობრიო ძეგლის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია!.. გაუჩინებოთ: იუნესკოს წარმომადგენლობით ნუსხაში სამადასამი ძეგლია ქართული!.. აღარ გავაგრძელებთ...

მატონო დედაქალაქის მერო, იაკობ გოგებაშვილი ნამდვილია არის იმის ღირსი, რომ დედაქალაქში მისი ძეგლი იდგეს! ესეც ითქვას: „ეს სამება – ილია, აკაკი, იაკობი – ნებისმიერი კულტურული ერის

ისტორიას დაამშვენებდაო“... ამიტომ: იმ სივრცეში, სადაც ილიასა და აკაკის ძეგლები დარაჯობენ ჩვენს ეროვნულ სიფხიბლეს, მიუწინაოთ ადგილი იაკობის ძეგლსაც (არქიტექტორების აზრით, არის ამის შესაძლებლობა)!

„იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ“ ამ საკითხზე ადრევე მოგმართა; დაპირებაც მივიღეთ; ვიცით, რომ თბილისის მერიაში ამ თემაზე ფიქრი დაწყებულია; გთხოვთ, აქციოთ საქმედ ეს ფიქრი!

მატონო კახა, დამერწმუნეთ: იაკობ გოგებაშვილის ძეგლის დადგმა იქნება გვირგვინი დედაქალაქში თქვენი წარმატებული მოღვაწეობისა!

იმედით,  
გიორგი გოგოლაშვილი,  
იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების  
თანათავმჯდომარე, პროფესორი.  
ტ: 599 51 84 93



ლეგიონერი

ივლინის პალე მოვა

საბარტევილი ნაკრებისა და „ბათუმის“ ფეხბურთელი სპირა კპარაცხელი...



ლია ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ამიტომ შეიძლება არ იყოს ერთადერთი ფეხბურთელი...

გვიმრავლოს!

ფასანაურის სპორტული ღარბაზი ახალი ინვენტარით აღიჭურვა

დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურში არსებული სპორტული ღარბაზი...

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ლონისძიებს მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები...



დიდი პრიზი



მსპანურ ბრანდაში გამართულ ტყვიის მსროლელთა დიდი პრიზზე საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა.

„პერსსლის“, „ბრინჯაოს“ ...

მეორე შესარჩევ ეტაპზე, რომელიც, არსებითად, ნახევარფინალი იყო, ჩვენმა გუნდმა 557 ქულა დააგროვა...

571-571 ქულით პირველ-მეორე ადგილები შეედეთმა და ესპანეთმა გაინაწილეს...

ერთი დღით ადრე ჩვენი ქვეყნის ყველაზე წარმატებულმა ტყვიის მსროლელმა, ნინო სალუქვაძემ კაკო მოსულიშვილთან ერთად შერეულ წყვილებში პნევმატური პისტოლეთიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ოკეანის გაღვა

ბრძოლა ბრძელდება

ლუკა დონჩიჩის შრომამ ამჯერად შედეგი გამოიღო და „დალას მავერიქსმა“ „გოლდენ სტიტი უორიორზთან“ ნბა-ს დასავლეთის კონფერენციის ფინალურ სერიაში ანგარიში შეამცირა (1:3).

სხვათა შორის, NBA-ს ისტორიაში არავის არ მოუგია სერია 0:3 მარცხის შემდეგ. ასევე 146 გუნდიდან მხოლოდ სამმა შეძლო სერიის მეშვიდე შეხვედრამდე გასანგრძლივება.

მისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტთან ტარიელ ხეჩიკაშვილთან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან...

ძიუდოს დარბაზი - ლაშა ბექაურის, ფიცარნაგი კი ლაშა ტალახაძის სახელობის იქნება.

სტუდენტური სპორტი

თსსუ კვლავ ლიდერია!

სიმბოლურია, რომ ქართველი მედიკოსთა სამჭედლოს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი მისმა ორგანიზატორებმა დინამოელთა 1981 წლის ტრიუმფის თარიღს - 13 მაისს დაამთხვეს...

ისე სპორტული ცხოვრების თვალსაზრისით, რაც ხანგრძლივი თანამშრომლობით შედეგადადებულ სამაგალითო ორგანიზატორთა დამსახურებაა: პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია - რექტორი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე - კანცლერი, სტუდენტური თვითმმართველობა (პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ლადო გაბეჩავა, ვიცე-პრეზიდენტი - მარიამ მერაბიშვილი), სპორტის ცენტრი (დირექტორი - ზაურ ფხალაძე, მოადგილე - გიგი შუბითიძე), მთავარი მსაჯი - ამავე ცენტრის თანამშრომელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თსსუ

ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე.



ლი პრეზიდენტის ავთანდილ კოკაიას მიწვევამ.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებს, გამარჯვება მესამედ მოიპოვა „პირველმა მერცხალმა“, რომელმაც ფინალი ზედიზედ მეორედ მოუგო „ელიტას“ - 3:2, ხოლო მესამე ადგილისთვის შეხვედრაში „ვესტმა“ 6:3 სძლია „ზესტაფონს“.

საუკეთესო ფეხბურთელი - დავით უბილავა. საუკეთესო მეკარეები - თორნიკე ფუტყარაძე და ლევან გომეჯიშვილი. საუკეთესო ბომბარდირი - მირიან ჯაფიაშვილი - 36 გოლი.

შეხვედრაში 43-დან 20 სამქულიანი ჩააგდეს. „მავერიქსი“ ამ სეზონში პლეი-ოფის მე-11 მატჩში 15 სამქულიანს მინიმუმ აგროვებს - ეს კი NBA-ს რეკორდია.

ალსანიშნავია ისიც, რომ American Airlines Center-ში მეორე ტაიმის დაწყება 16 წუთით დაგვიანდა, რადგან ძლიერმა მისამასხურავიდან რამდენიმე ადგილას გაჟონა, მათ შორის გუნდების სათადარიგოთა სკამთან და თავად მოედანზეც.



გარდა გამარჯვებაში დიდი წვლილი დორიან ფინი სმიტმა და რეჯი ბალოკმა შეიტანეს.

პირველმა მათგანმა 23 ქულიც, 6 მოხსნისა და 2 პასის გაკეთება შეძლო, ხოლო ბალოკმა 10-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და 18 ქულასთან ერთად 2-2 მოხსნა-პასი გამოიმუშავა.

„გოლდენ სტიტიდან“ ტრადიციულად სტეფ კარი გამოირჩა, რომელმაც 20 ქულა, 5 მოხსნა და 8 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. სტეფს 5-დან 2 სამქულიანი, 11-დან 5 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჰქონდა. მას თანაგუნდელებიდან მხარი კონგოელმა კალათბურთელმა ჯონთან კუმინგამ აუბა, რომელმაც 17 ქულა ჩააგდო, თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა.

ამროგად, ლუკამ და კამპანია სერიის ანგარიში 3:1-მდე შეამცირეს, დონჩიჩმა საკუთარი გუნდი 4 საუკეთესოში გაიყვანა, ახლა კი დაველოდოთ, შეძლებს თუ არა სერიის 7 მატჩამდე გაგრძელებას.







# სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

კონტრაქტის დასახელება: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები  
სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-14

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის“ (SRAMP). აღნიშნული პროექტიდან დანახოვით გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და სახელმწიფო მისაკრებლის ნათელი. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

3. სამუშაოების საერთო ღირებულებაა **3,127,626.00 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური სულ მცირე **782,000.00 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დაშვებით იტოვებს უფლებას დააზუსტოს თუ საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იქნება ბანკის მხრიდან რაიმე პირობის გათვალისწინებით);

ბ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2018; 2019 და 2020) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა სულ მცირე **3,127,000.00 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებიდან, გაყოფილი 3 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2017 წლის 1 იანვრიდან**;

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ (1) საფარიანი გზის მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **2,500,000.00 ლარი** ან ორ (2) საფარიანი გზის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის კონტრაქტს თითოეულის ღირებულებით არანაკლებ **1,250,000.00 ლარი**, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

- 350 მ რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.

- 11,500 მ<sup>2</sup> ქვათაცვევის საწინააღმდეგო დამცავი ბადის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე (აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს სპეციალიზირებული ქვეკონტრაქტორის მეშვეობით).

სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

5. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

6. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

7. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება.

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შეიძლება გავლენა იქონიოს შემთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე.

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში 2 „მსოფლიო ბანკის სესხის აძლების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)“. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება სისტემაში.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ე.ი. 120+28=148 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

# INVITATION FOR BIDS

GEORGIA

Secondary Roads Asset Management Project (SRAMP)

Contract Title: Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5

Bid invitation No. SRAMP/CW/NCB-14

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Secondary Roads Asset Management Project (SRAMP) and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract: **Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of these works. Implementation period of works is **10 months**.

3. The estimated cost of the works is **GEL 3,127,626.00** including all taxes, duties and other levies. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 782,000.00** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual turnover of **GEL 3,127,000.00** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2018; 2019 and 2020), divided by 3 years;**

c) Experience under civil works contracts in the role of prime contractor, JV member, sub-contractor, or management contractor for at least the last **5 years, starting 1<sup>st</sup> January 2017**.

d) A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed (substantial completion shall be based on 80% or more works completed under the contract) as a prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor between **1<sup>st</sup> January, 2017 and bid submission deadline**: at least one (1) contract for paved roads construction/reconstruction/rehabilitation with minimum value of **GEL 2,500,000.00** or two (2) contracts for paved roads construction/reconstruction/rehabilitation with minimum value of **GEL 1,250,000.00 of each contract;**

e) For the above and any other contracts completed and under implementation as prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor on or after the first day of the calendar year during the period stipulated in 4.2 (a) above, a minimum construction experience in the following key activities successfully completed:

- **Arrangement of 350m Reinforced Concrete Retaining Wall, between 1<sup>st</sup> January, 2017 and bid submission deadline.**

- **Arrangement of 11,500 m<sup>2</sup> Rock Fall Protection Net, between 1<sup>st</sup> January, 2017 and bid submission deadline (This activity can be met through a Specialized Subcontractor).**

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement.

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.

- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

- Please note that bidding is conducted under National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January, 2011 revised July 2014 ("Procurement Guidelines"). Requests for clarification should be submitted through the Georgian E-Government Procurement System.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 120 days+28 days = 148 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.



